საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 102

20/2 წ. "13" 03.

ქ. თბილისი

,,შპს - მახინჯაურის ლიცეუმისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის №66 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

საბჭომ გადაწყვიტა:

1.შპს - მახინჯაურის ლიცეუმისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის №66 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,2. შპს - მახინჯაურის ლიცეუმს მიენიჭოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდება განესაზღვროს 200-ით."

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №9 სხდომის ოქმის მე-15 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
ანა კლდიაშვილი